სამშობლო

ორშაბათი

2 დეკემბერი

წელიწადი I.

ფასი: წლიურათ 8 მ., ნახევარი წლით 5 მ., თვიურათ 4 აბ. ცალკე ნუმერი ერთი შაური. დამატებით 7 კ. წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ, ხელის მოწერის დროს 3 მ., და ნარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ. განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კაპ., უკან 15 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ ნაშუადღევის 2 საათ. ღირს 3 მ. 2 საათს შემდეგ 4 მან.

№ 237 ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 237

ტელეფონი № 76.

ტელეფონი № 76.

„სამშობლო დედის ძუძუა, არ გაიცვლების სხვაზედა,
ორივ ტკბილია ძმობილო, მირჩევნის ორსავ თვალზედა,
როგორც უფალი, სამშობლოც ერთია ქვეყანაზედა."

დაიწყო ხელის მოწერა 1916 წლის ყოველდღიურ საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთ

„სამშობლო“-ზე

გაზეთი გამოვა ყოველკვირეული სურათებიანი დამატებით.

ითანამშრომლებენ ეროვნული დემოკრატიული მიმართულების საუკეთესო ძალები და ახალი სარედაქციო კოლეგია.

წლიურათ გაზეთი ეღირება 8 მანეთი, ნახევარი წლით 5 მან.

ვინც ამ თავითვე გაზეთს გამოიწერს და წარმოადგენს ფულს, პირველ დეკემბრიდან 1 იანვრამდე გაზეთი უფასოთ დაეთმობა.

ელექტრო „რადიუმი“ თეატრი

ორშაბათიდან, 30 ნოემბრიდან, ნაჩვენები იქნება მხატვრული დრამა

მხოლოდ მოზრდილთათვის

ეკატერინა ივანეს ასული.

კინო—პიესა 6 ნაწილათ, ლეონიდ ანდრეევისა

უმთავრეს როლებში მონაწილეობენ მოსკოველი გამოჩენილი არტისტები: ნ. გერმანოვისა, მ. ა. დუროლსოვისა, ნ. ნ. ბერსენევი, ს. ნ. ვორონოვი, ნ. ო. მასალიტანოვი, ნ. რ. ნიკოლსკი და სხვები.

პატე-ჟურნალი № 326

მაქვს პატივი ვაცნობო პატივცემულ ქუთაისის საზოგადოებას, რომ

ჩემი საგალანტერეიო საქონლის ვაჭრობა

(მაღაზია), რომელიც იმყოფებოდა ვორონცოვის ქუჩაზე, ძმათა ოგანეზოვების შენობაში, 20 ნოემბრიდან

გადავიტანე იმავე ვორონცოვის ქუჩაზე, ძმათა ოცხელების შენობაში, რომელშიც წინეთ ვაჭრობდა გ. გ. ეფრემიძე; იმედი მაქვს, პატივცემული საზოგადოება მომმართავს ჩემს ახალ სავაჭროში.

14—5—6042 პატივისცემით **ილ. ტარ. მოწონელიძე.**

საჯარო ვაჭრობა

6 დეკემბერს ამა მიმდინარე წლისა, დილის 12 საათ. დ. სამტრედიაშისა სოფლო სამართველოს დარბაზში დანიშნულია

საჯარო ვაჭრობა

იჯარით გაიცემა 1916 წლის პირველ იანვრიდან 1917 წლის პირველ იანვრამდე შემდეგი შემოსავლიანი სტატიები:

1. საიარმარკო ბუტკები
2. საწვრილმანო საიარმარკო მოედანი
3. მწვანე ბაზარი და საწყორი (ყაფანი).
4. საყასბო (бойня) და
5. პირუტყვების გასაყიდი ქართა.

მსურველთ ვაჭრობის პირობის გაგება შეუძლიათ ყოველ დღე სამტრედიის სასოფლო კანცელარიაში.

სამტრედიის საზოგადოების ვექილი

2—1 პ. ბ. გელეიშვილი.

კბილის ექიმი

მ. მზილაძე—გალიცკისა

ლებულობს ავადმყოფებს დილის 9 ს.— 12 საათ., საღამოთი 4—5 საათამდი. მისამართი: თბილისის ქუჩა, ვლ. წერეთლის სახლში. თ.

ექიმი ზ. დ. ნასარიძე შინაგანი, ნერვებისა და ტვინის სნეულებით ავადმყოფებს იღებს დილის 8—2 საათამდე და საღამოთი 6—8 საათ. თბილისის ქუჩა, ქუთაისის ყოფილი ქალაქის თავის დ. ა. დორთქიფანიძის სახლი. თგ.

გაბრიელ იოსების ძე

ექიმი გოკიელის

ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი.

შინაგანი ნევრებისა და ვენერიულ ავადმყოფების მიღება დილის 9—12 საათ. საღ. 6—8 საათ. ალექსანდრეს ქ. საკუთარი სახლი. თ.

ექიმი მულინი

ყელის, ცხვირისა და ყურების ლებულობს ავადმყოფებს ნაშუადღევის 2—3 საათამდი, საღამოს 6—8 საათამდი. კვირეს გარდა.

თბილისის ქუჩა, № 70, სახლი ქაიხოსრო ჯაფარიძისა.

კბილის ექიმი რ. პ. სვანაძის ასული

მიიღებს 10—3 და 5—7 საათამდე. თბილისის ქუჩა, ელიგულაშვილის (ყოფილი ჯორჯიკიას) სახლი.

მასაჟით სამკურნალო კაბინეტი

მარ. ბალანჩივაძისა.

ვკურნავ მასაჟით, სააქიმო ვარჯიშობით. ვსპობ სახეზე: მეჭეჭებს, ნაოჭებს, ჭორფლს მეტ სიწითლეს, ნაყვავილებს და ყოველგვარ სახის ავადმყოფობას. ამასთან ვუცრი ყვავილსაც და აგრეთვე **ნამდვილათ ვარჩენ** თავზე კანის ქერცლს, ანუ ქეტერს ახალი გამოსული წამლის საშვალებით. ქეტერის მოსპობის შემდეგ თმა სრულიად აღარ სცვინდება და იღებს სასიამოვნო ფერსა და სირბილეს. ავადმყოფების მიღება დილის 9—2-დე და საღამოს 4—6 საათამდე. რჩევა და დარიგება 10 შაური. მისამართი: გენერლის ქუჩა, ლორთ ქიფანიძისსახლი. თ

ექიმი **ი. ჩარიძოვი** ქალაქ. საავადმყოფოს ორდინატორი. განაახლა კანის, ვენერიულ და სიფილისიანი ავადმყოფების მიღება ახალ ბინაზე, დილით, 12 —2 საათ. საღამ. 6—8 საათ. მისამართი: ლევაშოვის ქუჩა, ალიბეგოვის სახლში. (თ.)

ქ. ქუთაისში

1 ნოემბრიდან, თბილისის ქ., **მ. ქვინიხიძის** ქალთა პროგიმნაზიის სადგომში

გაიხსნა როიალზე სწავლების კლასი.

სწავლა სწარმოებს კონსერვატორიის პროგრამით, კვირაში სამჯერ. სწავლის ფასი დაწესებულია კვირეულ სამ გაკვეთილზე თვეში ხუთი მანეთი, რომელიც წინდაწინ უნდა გადახდილ იქნეს. ქალ. თეატრში შემდეგ გაიმართება მოწაფეთა საღამო. ჩაწერა და მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე 8—2 საათ. და 4—6 საათამდი იქვე. თ.

აფთიაქი

ვანის საზოგადოება, ქუთაისის მაზრისა, ამით აცნობებს პატივცემულ მსურველთ, რომ 11 დეკემბერს დანიშნულია სოფელ ვანში

საჯარო ვაჭრობა

რომლითაც იჯარით გაიცემა ვანის საზოგადოების **აფთიაქი.** ვაჭრობა დაიწყება დილის ათ საათიდან.

მსურველთ ვსთხოვთ დაესწრონ საჯარო ვაჭრობას იჯარით გაცემის პირობები მსურველს შეუძლია განიხილოს ყოველ დღე, ვაჭრობის დრომდის.

2—1 გამგეობის თავჯდომარე **თ. ჩ. ან. ჩიჯავაძე.**

საყოველთაოთ ვაცხადებ, რომ გავხსენით სააგენტო დამზღვევ (სტრახის) საზოგადოებისა

„რუსეთი“ („როსსია“),

სადაც შეიძლება **დაზღვევა** სიცოცხლისა და უბედურ შემთხვევებისაგან.

პირადათ მოსალაპარაკებლათ ვთხოვ მობრძანდენ დილის 10 ს-დან ნაშუადღევის 1 საათ. და საღამოობით 4 საათ.—7 საათ. ჩვენს კანტორაში ქ. ქუთაისში, ორპირის ქუჩაზე, საკუთარ სახლში, ქალაქის მეორე აფთიაქის ზემოთ. მსურველთ შეუძლიათ აგენტის სახლში მიწვევით დაიზღვევონ თავი. ტელეფონი № 26

წერილობით შეკითხვაზე პასუხი დაუყონებლივ მიეცემა.

თ. აგენტი დამზღვევ საზოგადოებისა **დავით სიმონის ძე ლოლობერიძე.**

ბებია **მ. მ. კოხრეიძე** უვლის ყვავილს, უკეთებს ნემსებს, ეხმარება მშობიარეთ და აძლევს ავადმყოფთ რჩევა-დარიგებას ყოველ დროს.

ალექსანდროვის ქუჩა სახლი თევდორაძისა, ფილიპოვის მაღაზიის პირდაპირ.

ექიმი **ა. მ. ასათიანი.** განაახლა ავადმყოფების მიღება (ქალურ, ვენერიულ და შინაგან ავადმყოფობის) ყოველ დღე დილის 11—2 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდი პუშკინისა და ბალახვანის ქუჩის კუთხე, სახ. № 3. თ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უმაღლესი მთავარ სარდლის შტაბისაგან.

პეტროგრადი. 28 ნოემბერი. ოფიც. მთელის ბრძოლის პირით ცვლილება არ მომხდარა. 27 ნოემბერს, დილით მოპირდაპირე იერიშით წამოვიდა კუპრინცეს რაიონით მდ. სტირზე, ტარნოპოლის დასავლეთით, მაგრამ უკუქცეულ იქნა და დაბრუნდა თავის თხრილებში.

შავი ზღვა. 27 ნოემბერს, კაფკენის კუნძულის მახლობლად, ბოსფორის აღმოსავლეთით, სამმა ჩვენმა ნაღმოსანმა საარტილერიო ბრძოლის შემდეგ ოსმალების ორი კანონერის ნავი დალუპა. ჩვენ ზარალი არ მოგვსვლია. ნაღმოსნებმა აგრეთვე ერთი დიდი იალქნიანი გემი დალუპეს.

29 ნოემბერი. ოფიციალური. რუსეთის ასპარეზი. ცვლილება არ მომხდარა. გალიციაში მდინ. სტრიპაზე, სოფ. მარიანკას, იუზეფოვკას და ბენიავას რაიონებში, ტარნოპოლის სამხრეთ-დასავლეთით, მოპირდაპირის პატარა რაზმები იერიშით მოდიოდნენ, მაგრამ გარშემორტყმულნი, ზოგი დახოცეს, ზოგიც დაატყვევეს.

კავკასიის ასპარეზი.

ქამადანის გზით ჩვენმა ჯარმა წინა დღით დამარცხებულ გერმანელ-ოსმალეთის რაზმის დევნის დროს ხელთ იგდო მოპირდაპირის გამაგრებული პოზიცია სულთან-ბულაღის გადასავალზე.

შავი-ზღვის ნაპირის რაიონში, ხოფას სამხრეთ-დასავლეთით, ოსმალები წინ წამოწევას შეეცადნენ, მაგრამ შევაჩერეთ და დიდი ზარალიც მივაყენეთ. ქამადანის გზით მოპირდაპირის დევნაში ჩვენმა ჯარმა სულთან-ბულაღის გადასავლის სამხრეთ-დასავლეთით ერთი დღის სავალით წინ წაიწია.

ომის ამბები.

(ჟურნალ გაზეთებიდან)

სპარსეთის ამბები.

პეტროგრადში ცნობა მოვიდა, რომ ავსტრო-უნგრეთის ელჩი ლოგოტეტი და ოსმალეთის,—ასიმ-ბეი ქუმიდან დაბრუნდნენ, საიდანაც ივინი გავიდნენ, როცა თეირანს რუსეთის ჯარი მიუახლოვდა. გერმანეთის ელჩი პრინც რეისი ჯერჯერობით ისევ ქუმში რჩება.

დიპლომატიური წრეები ამ ელჩების დაბრუნებას თეირანში არ სთვლიან იმის მაჩვენებლად, ვითომც რუსეთისა და ინგლისისადმი სპარსეთის დამოკიდებულება შეცვლილიყოს. რუსეთისა და ინგლისის დიპლომატიის დაბეჯითებით არ მოუთხოვიათ თავის დროზე თეირანიდან ამ ელჩების გასვლა. ივინი თავისი ნებით გავიდნენ, რუსეთის ჯარის მიახლოვების შიშით. და როცა გამოირკვა, რომ რუსეთის ჯარი კიდევ არ შევა თეირანში, ორი ელჩი ისევ უკან დაბრუნდა. საეჭვო არაა, რომ რეისიც მალე დაბრუნდება. მიუხედავად იმისა, რომ მოლაპარაკება სპარსეთის მთავრობასთან ინგლისისა და რუსეთის სასარგებლოთ სწარმოებს, რუსეთის დიპლომატიური წრე საქმის მდგომარეობას ჯერ კიდევ გამოურკვევლათ სცნობს და ეძნელებათ საბოლოო დასკვნა გამოიტანონ რუსეთ-სპარსეთის დამოკიდებულების შესახებ. „დ."

საბერძნეთის პოლიტიკა.

რომის გაზეთები ეჭვის თვალით უყურებენ საბერძნეთის პოლიტიკას.

„ტრიბუნა" ამბობს: „საბერძნეთმა ხელი მოაწერა ხელშეკრულობას, რომელიც დადებულია ბულგარეთსა და ცენტრალურ სახელმწიფოთა შორის. უკეთეს შემთხვევაში, საბერძნეთი დღეის შემდეგ დაიცავს კეთილსასურველ ნეიტრალიტეტს ავსტრო-გერმანელების მიმართ. ათენის მთავრობა დარწმუნებულია იმაში, რომ მონასტირის აღების შემდეგ, გერმანელები დაიკავებენ სამხრეთ ალბანეთს.

შემდეგ „ტრიბუნა" მსჯელობს მონასტირის აღების მნიშვნელობაზე და აღნიშნავს, რომ ბულგარლები მონასტირში არ შევიდნენ, თუმცა ოთხი დღეა, რაც ქალაქის გარშემო არიან, რადგანაც მონასტირს საბერძნეთს უთმობენ ნეიტრალიტეტის დაცვის სამაგიეროთ''.

დასასრულ გაზეთი ამბობს: ,,საბერძნეთი აწარმოებს საშიშ პოლიტიკას''.

ინგლისი.

გაზ. ,,ობსერვერ''-ი საომარ მდგომარეობის შესახებ სწერს: ბალკანეთის მდგომარეობა უპირველეს ყოვლისა თხოულობს გალიპოლში დაკავებულ პოზიციის შენარჩუნებას და მეომარ ძალების შეგროვებას გერმანელების დასამარცხებლათ მას შემდეგ, როცა ივინი მოწყვეტილი იქნებიან კონსტანტინოპოლისაგან. გარდა ამისა, ეს გაადვილებს მომავალში რუსების შეტევას, რომელნიც საბოლოოთ გაანადგურებენ გერმანელთა ძალებს.

დელეგაციის გამგზავრება.

რამდენიმე შვედელის გამგზავრება ინგლისსა და საფრანგეთში დიდ უკმაყოფილებას იწვევს სტოკჰოლმის გერმანოფილურ პრესაში. გაზ. ,,სტოკჰ. დაგ'' მოწინავე წერილში მწუხარებას გამოსთქვამს დელეგატების მიერ პარიზში გამოთქმულ სიტყვების გამო: რიკსდაგის დეპუტატი, რომელიც მონაწილეობას იღებდა ამ მისიაში, სურვილს გამოსთქვამს, რომ ასეთი მგზავრობა ომიანობის დროს აღარ გამეორდეს [illegible] განსაკუთრებით სურს, რომ ასეთ მგზავრობას ადგილი არ ქონდეს რუსეთში, თუ უკეთუ ამის განზრახვა აქვთ, რადგანაც ასეთ მისიის დროს შეიძლება წარმოითქვას ისეთი სიტყვა, რომელმაც შეიძლება შვეციას, როგორც ნეიტრალურ სახელმწიფოს, ზიანი მოსცხოს.

გაზეთი ,,დაგენს ნიხეტერ'' ამის საწინააღმდეგოთ ამბობს და აღნიშნავს, რომ ასეთ მოგზაურობაში მონაწილეობა უნდა მიიღონ აგრეთვე გერმანოფილური პრესის წარმომადგენლებმა, როგორც კონტროლებმაო.

გაზეთი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ომის დაწყებიდან შვეციის სამხედრო პირები, ექიმები, მწერლები, პოლიტიკები ჟურნალისტები და მეცნიერნი ტყვილა უბრალოთ ნახულობდნენ გერმანიას და, როცა ბრუნდებოდნენ, შვეციაში ქმნიდნენ გერმანიის სასარგებლო მიმდინარეობას.

,,სვენ ჰედინს—ამბობს გაზეთი, ხელი არ შეუშალეს მეფე ვილჰელმი ენახა და ესაუბრა გერმანიის ჯარის ხელმძღვანელ პირებთან. არაფერი არაა გასაკვირი, რომ შვეციას ახლა უნდოდეს გერმანიის მოპირდაპირეების პირადათ გაცნობა, რუსეთში გამგზავრება მით უფრო სასარგებლო იქნება, რადგანაც გაზეთების ცნობებიდან კაცს არ შეუძლია რაიმე გარკვეული აზრი იქონიოს რუსეთის ნამდვილ მდგომარეობაზეო''.

ქრონიკა

რუსეთი.

მთავრობის დახმარება.

ფინანსთა მინისტრმა, ვაჭრობა-მრეწველობისა და მიწად მოქმედების მინისტრთან შეთანხმებით დაამტკიცა წესები, რომლის ძალითაც ქალაქები და ერობები სესხს მიიღებენ კერძო საკრედიტო დაწესებულებებიდან, რასაც უზრუნველყოფს მთავრობის ხაზინა. ეს ზომა მიღებულია იმიტომ, რომ ქალაქებსა და ერობებს საშუალება მიეცეთ მცხოვრებთათვის შეიძინონ საჭირო სურსათი.

პოლონეთის საკითხი.

28 ნოემბერს შინაგან საქმეთა მინისტრის ხვოსტოვის ბინაზე მოხდა პირველი თათბირი პოლონელების შემზღუდველ წესების გაუქმების შესახებ. თათბირს საუწყებათაშორისო ხასიათი ექნება თათბირზე მიწვეული არიან მინისტრების ამხანაგები, დეპარტამენტის და განყოფილების დირექტორები.

შედეგები მემარჯვენეთა კრებისა.

კრების თავმჯდომარემ ლევაშოვმა „ბირჟ. ვედ." თანამშრომელს შემდეგი განუცხადა:

ჩვენი თათბირის მიზანი სრულიად მიღწეულია. ჩვენ შევსძელით სრული შეერთება ყველა მემარჯვენე ორგანიზაციებისა.

ამასთანავე ადგილობრივად ჩვენ გამოვარკვიეთ, რომ რუსეთის მცხოვრებლები დიდ გაჭირვებას განიცდიან სიძვირითა და გერმანელების ძალმომრეობით.

თათბირის შედეგები თავის გავლენას იქონიებენ შინაურ პოლიტიკაზედაც, რადგანაც მემარჯვენეთა შეერთება ხელს შეუწყობს მთავრობას და უჩვენებს მას ახალ გზას მცხოვრებლების მისწრაფებათა დასაკმაყოფილებლათ.

შეკითხვაზე—რით აიხსნება შჩეგლოვიტოვის ასეთი მხურვალე მონაწილეობა მემარჯვენეთა თათბირში, ლევაშოვი თანამშრომელს უპასუხებს:

— ი. გ. შჩეგლოვიტოვი ყოველთვის აქტიური და მხურვალე მემარჯვენე იყო. და როდესაც იგი იუსტიციის მინისტრათ იმყოფებოდა, მას არ შეეძლო ესა თუ ის ოფიციალური გამოსვლები მიეღო. ახლა კი იგი სრულიად თავისუფალია თავის მოქმედებაში და ამიტომაც სრული გულწრფელობა გამოიჩინაო.

ქართული პრესა.

„ზვირთი" პოლიტიკოსობს. ის არა მარტო საქართველოს მომავალს, არამედ მთელ მსოფლიოს ბედს ფედერალისტების ხელში ხედავს.

> ომამდინაც ფედერალისტები ევროპაში თან და თან იკიდებდენ ფეხს, იგი მაინდამაინ საუკეთესო ფორმად უმჯობეს წყობილების დამყარების საქმეში, მაგრამ ომის შემდეგ ფედერალისტური მიმართულება არაჩვეულებრივად განვითარდება. ყველა, ვისაც კი გონების თვალი უჭრის და ოდნავ რამე გაეგება როგორც სახელმწიფოებრივ უფლებაში, ისე ევროპის ეხლანდელ სოციალ-პოლიტიკურ განწყობილებაში, ფედერალიზმის ასეთ გაძლიერებას მაშინვე შეამჩნევს. როცა „ზვირთი" დავაარსეთ, ეს ჩვენთვის ცხადი იყო და პირველსავე ნომერში ვსწერდით: „ეხლა ბრმაც უნდა დარწმუნდეს, რომ იმპერიალისტური და აგრესიული მიზნები **დამოუკიდებელი** სახელმწიფოების ბუნებას შეადგენს, რომ საზოგადოების ინტერესების საუკეთესოდ დაცვა მხოლოდ მაშინ შესრულდება, თუ ერთი სახელმწიფოებრივ მთლიანობას (სუვერენიტეტს) შევბღალავთ და სახელმწიფოებრივ ერთეულების ნაცვლად შემოვიღებთ სახელმწიფოების კავშირს; მარტივად [illegible] სახელმწიფოების ნაცვლად ისეთი გამოთავეთავებული ორგანიზაციები, რომელნიც საგარეო პოლიტიკაში ფრთა-შეკვეცილნი იქმნებიან, და სხვა....

საიდან მოელანდათ „ზვირთის" პოლიტიკოსებს ევროპაში ფედერალისტური მიმართულება. ცხადია, ეს მოვლენა ნაყოფია მათი სულიერი განცდის. მათ ეს „ფედერალისტობა" პოლიტიკურ აზროვნების უკანასკნელ სიბრძნეთ მიაჩნიათ. ევროპა კი ხომ პოლიტიკურად განვითარებულია. ცხადია, დაასკვნიან ისინი, ევროპაში „ფედერალისტური მიმართულება არაჩვეულებრივ განვითარდება." არა ჩვენი ამღვრეულ ცხოვრების „ზვირთო", თუ ნაკადულო. ფედერალისტობა ჩვენი გადაგვარებულ და დაუძლურებულ პოლიტიკურ აზროვნების ნიადაგზედ აღმოცენებული ყვავილია. ის ვერ გაიფურჩქვნება იქ, სადაც ეროვნული ცხოვრება ბუნებრივ კალაპოტში მიმდინარეობს, სადაც ეროვნული მაჯისცემა და სულისკვეთება საღი და ნორმალურია. აბა ევროპაში, რომელ სახელმწიფოში ნახავთ თქვენ ისეთს მიმართულებას, რომელიც **დამოუკიდებელ** სახელმწიფოს პრინციპს ებრძოდეს, რომელიც თავის **სახელმწიფოებრივ** სუვერენიტეტის „შებღალვას" მოითხოვდეს. (სუვერენიტეტი ჩვენო ბრძენო პოლიტიკოსებო, მთლიანობას კი არ ნიშნავს, არამედ უმაღლეს დამოუკიდებელ ხელმწიფობას).

ეროვნული დამოუკიდებლობის და თავისუფლებისათვის, ეროვნული სახელმწიფოს დასამყარებლათ აღმოცენებული ხალხოსნური მიმართულებები უცნობი არ არის ევროპის ისტორიისთვის; ეროვნული თავგანწირული ბრძოლების მაგალითები მასში ბლომათ მოიპოვება. რაც შეეხება ისეთს ფედერალისტურ მიმართულებებს, რომელნიც იბრძვიან არა ეროვნული დამოუკიდებლობის და თავისუფლების დასამყარებლათ, არამედ ეროვნული დამოუკიდებლობის,—სადაც ეს არის—შესაკვეცათ და შესაბორკავათ, რაღაც ,გამორგვალებულ' კავშირების შესაქმნელათ, ეს ევროპისთვის საბედნიეროთ უცნობია და მხოლოთ ჩვენი ბედშავი ცხოვრების ნაყოფს შეადგენს.

⁂

„საქართველო" მეთაურს უძღვნის იმ კამათს, რომელიც გაიმართა გერმანეთის რეიხსტაგში ზავის ჩამოგდების შესახებ.

განცდანი.

(სიყმაწვილიდან დღევანდლამდე)

ა.

დილაა... გარეთ თოვლი ძევს; ფანჯრების მინებს ყინული გადაჰკვრია. მოისმის ყვავების ჩხავილი. დედა ქათმების აპურებს. მე საბანში გახვეული ვარ და ვიგონებ წუხანდელ სიზმრებს.

ოხ რა საუცხოვო სიზმრები იყო!..

მინდორში მივდიოდი, მიწაზე თეთრი ფულები დავინახე. დავიწყე შეკრება. მოვაგროვე და სახლში წამოვიღე. გზაზე გოგია დამედევნა: ფულების თხოვა დამიწყო. მე არ ვინდოდა მიმეცა, მაგრამ ბოლოს გამახსენდა, რომ გოგია ჩემსავით ობოლია და ნახევარი მივეცი. ღმერთო, რანაირად გაეხარდა საწყალს!..

მომწყინდა ასე ჩუმად ყოფნა საბანქვეშ. დედა მეორე სახლში არის და ცეცხლს ანთებს. მოდი ერთი ლექსებს ვიტყვი. პირველათ რომელი ვთქვა? მე მგონია „ოხა" ყველას სჯობია. მეც ვიწყებ ამ ლექსს ჯერ ხმა დაბლა, ბოლოს კი ისე მაღლა ვლაპარაკობ, რომ იატაკ ქვეშ ინდაურები გაკვირვებით ჰახჰახობენ. ვიცი დედას უხარია. ეხლა მეორესაც ვიწყებ: „საწყალი მელა ჩიოდა: არ მომივიდა ძილია". აი ოთახში დედაც შემოდის... „ადექი აწი, შვილო, თბილათ ჩაიცვი და ცეცხლთან მიდი"—ალერსით მეუბნება იგი და ტანისამოსი მოაქვს. მე საჩქაროთ ვდგები, ტანთ ვიცვამ და დიდას ყელზე ვეხვევი, მერე უცბათ ვცილდები და ხითხითით გავრბივარ მეორე სახლში, სადაც შუა-ცეცხლს გუზგუზი გააქვს. მალე მჭადიც გაფიცხდება, გახიკნდება. დედა ყველს მომიტანს, ვისაუზმებ და გავქანდები გარეთ. გოგიას დავუძახებ, კაკოს გაუვლით და სამივენი გავსწევთ სანადიროთ, სათამაშოთ.

ახ! რა კარგი რომ ხარ, სიყმაწვილევ!

ბ.

აღდგომის დილაა... ჯერ კიდევ არ გათენებულა... აი ჩამოჰკრა ჩვენი საყდრის მნათემ დიდ ზარს და პატარა ზარებიც ააწკრიალა... საჩქაროდ ვდგები და ტანთ ვიცვამ.

რა ბედნიერებაა!.. ყველაფერი ახალი მაქვს: ტანისამოსი, წაღები, ქუდი. აღდგომამდი დედამ არც ერთი არ ჩამაცვა: „აღდგომა, შვილო, დიდი დღესასწაულია და უთუოდ გამოწყობილი უნდა წაბძანდე ეკლესიაზეო"... წინა ღამით ამორჩეული წითელი კვერცხები ჩავიწყვე ჯიბეში და საყდრისაკენ გავეშურე... საყდარში საკმევლის სასიამოვნო სუნი დგას... სანთლებით აბრჭყვიალებულია ყველაფერი. ყველას სახეზე მხიარულების ღიმი უთამაშებს... მე ვდგევარ სასოებით და თვალს არ ვაცილებ ქრისტეს ხატს: „ღმერთო! შენი სახელის ჭირიმე! დედა და ძმა კარგათ მიმყოფე, მეც კარგი კაცი გამომიყვანე: დედის და ნათესავების გული გამახარებინე. ღმერთო! ღმერთო"... ვჩურჩულებ და მრწამს, რომ ქრისტე, რომელიც ასე მშვიდათ გამოიყურება, გაიგონებს ჩემს ლოცვა-ვედრებას.

„ქრისტე აღსდგა მკვდრეთით: და ღაღადებს მღვდელი, მგალობლებიც ადასტურებენ: ,,ცხოვრების მიმნიჭებელი''-ო.

აი წირვაც გათავდა და იწყო ხალხმა ერთმანეთის ამბორით მილოცვა. მე უცბათ გავქანდი და, ძველ ჩვეულებრისამებრ, ჩემთვის ძვირფას მამის და ბაბუის საფლავებს წითელი კვერცხები მივუგორე: „ქრისტე აღსდგა, მამა! ქრისტე აღსდგა, ბაბუა!

მე მრწამდა იმ წუთში, რომ მამა ალერსით მიყურებდა... რომ ბაბუას სიხარულისაგან თეთრ წვერებზე ცრემლები ჩამოდიოდა.

„ნეტარ არიან მორწმუნენი,
რამეთუ მათი არს ქვეყანა!"

გაჰქრა ეს ხანა... საშინელი ეჭვი საიდანაც ქურდულათ შემოიპარა ჩემს გულში და ღრღნა დაუწყო ჩემს რწმენას... ეხლაც დედის ხათრისთვის, აღდგომა დილას ადრე ვდგები, ეხლაც ტაძარში ხშირათ ვიწერ პირჯვარს სხვის რწმენის პატივსაცემლათ... ეხლაც ვაგორებ მამის და ბაბუის საფლავებზე წითელ კვერცხებს მაგრამ წინანდელი წმინდა გრძნობა სადღაა? სად?

ვ.

მაისის ღამეა. მთვარე ამოვიდა. აქა-იქ ანათებენ ციცინათელები. ნელი სიო ოდნავ არხევს ხეების ფოთლებს... მე მხიარულათ მივაბიჯებ გზაზე და ნელა ვღიღინებ: „ჩემო კარგო, ქვეყანა, რაზედ მოგიწყენია?" აი კიდეც მივუახლოვდი სახლს... მთვარის შუქით შესუდრული რაღაც საიდუმლოთ გამოიყურება ჩვენი დიდი სახლი... სვეტთან ავიტუზე. ყურს ვუგდებ. ჩემი პატარა ძმა დედა ჩემს ემუსაიფება: „დედა, მე უსათუოდ ექიმი უნდა ვიქნე. კარგი არ არის, დედა! მერე ჩვენ ხომ სულ კარგათ ვიქნებით: როგორც კი ავათ შეიქნები, მაშინვე წამალს დაგალევინებ... ღარიბებს სულ უფასოთ მოვარჩენ''... „ერია, ბიჭო! ექიმს გაუმარჯოს, ექიმს!" ვიძახი ხმა-მაღლა და სახლში შევდივარ.

ხელ-გაშლილი მომეგებება დედა ჩემი და რამდენჯერმე ჩამკოცნის, ჩემი ძმაც სიხარულით ფეხზე ადარა დგას. ხუმრობა საქმეა? დედას სახლში სემინარიელი შვილი მოუვიდა. „აბა შვილო, რა ამბავი იცი? ხომ გადადი შემდეგ კლასში?" მეკითხება დედა ჩემი; მეც ვიღებ უბის წიგნიდან მოწმობას, დედა ათვალიერებს: „აი, შვილო, გაგიხარია ღმერთმა... ქუდიანათ მიგყავს შენი საქმე. დაგენაცვლოს დედა შენი!" ამბობს დედა და მეკითხება; თუ როგორ გვექცევიან, როგორი დამოკიდებულება გვაქვს ამხანაგებს ერთმანეთთან და სხ. ძმა კი არ მეშვება და აი მეორეჯერ მეკითხება: თბილისიდან საკითხავი წიგნები მომიტანე თუ არა? როგორც არის ვამშვიდებ: ვპირდები ცოტა ხნის შემდეგ წიგნების მიცემას. ისიც მეუბნება ახალ ამბებს, მიყვება თავის მასწავლებლების შესახებ, მიჩვენებს სასწავლებლიდგან წამოღებულ მოწმობას, მოაქვს საკუთარი შედგენილი ლექსი და მეკითხავს. მეც სერიოზულათ ყურს ვუგდებ, თუმცა ერთი გაცინება მილიონს მირჩევნია...

აი კიდეც ვივახშმეთ და ოთახში წავედით დასაძინებლათ, მე და ჩემი ძმა ვწვებით, დედა კი ჩონგურს ჰკიდებს ხელს და ჩვეულებრივათ ამღერებს („სიმღერა იგი ჩამრჩენია გულს"). ვისმენ და ოცნება შორს მიფრენს... სიხარულისაგან მინდა ვიტირო... ნელა... ნელა მეწვეთება ყურში ხმა დედისა... პატარა ხანს კიდევ და ღიმილით ტუჩზე მიმეძინება.

ოხ, ბედნიერო წუთებო, ბედნიერო წუთებო!

დ.

ჩვენ ხშირათ ვხვდებოდით ერთმანეთს... როგორ გაგვიბრწყინდებოდა ხოლმე სახე, როგორ ვძაგძაგებდით, ვერთობოდით ერთმანეთის სიახლოვით. მე ის იყო სემინარიის მეოთხე კლასში გადავედი, ის კი გიმნაზიის მეშვიდე კლასში იყო. ავწერო მისი სახე? ეხ! რა საჭიროა: იმ დროს მე იმაზე ულამაზესი და უნაზესი არსება არც კი მეგონა თუ სადმე იყო. მახსოვს ის ნეტარი წუთებიც, როდესაც ერთმანეთს გული გადავუშალეთ. მოზღვავებული გრძნობისაგან ლაპარაკს ვერ ვახერხებდით, მაგრამ უსიტყვოთაც კარგათ ვხვდებოდით ერთმანეთის გულის დარდს. ტუჩმა ტუჩი მონახა და ერთი მეორეს გადაეწება. კარგა ხანს ვიყავით თავდავიწყებულნი. რა ჟრუანტელი მიდიოდა ხოლმე ტანში შენს ახლოს მყოფს, ჩემო მარო! გახსოვს? შენ ხელი გამომართვი და გულთან მიიდევი: საშინელი ბაგა-ბუგი გაჰქონდა შენს გულს; მკერდი მძლავრად ადიოდ-ჩადიოდა; ჩემი ხელი კი იწვოდა... იწვოდა. ჩვენ მზად ვიყავით იმ წუთში ერთად გადავმწვარიყავით, ერთ არსებათ გადავქცეულიყავით. გახსოვს, განშორების ხანს მე შენ ცრემლები დაგიკოცნე, შენ ყელზე მომეხვიე და მემუდარებოდი—სულ მუდამ გვეყვარებოდა ერთმანეთი. რამდენი ღამე გამითევია შენზე ფიქრში. რამდენი საათი ვყოფილვართ ერთად გადახვეულნი—სულ-განაბულნი... რამდენი გვეოცნებია მომავალ ჩვენს ცხოვრებაზე... ეგზამენების შემდეგ მე სოფელში წავედი... ჩამოვედი და მარო ქალაქში აღარ დამხვდა. მითხრეს: ვიღაც ოფიცერს მიათხოვესო...

მე გულის საშინელი ტკივილი ვიგრძენ და ჩუმათ ავტირდი... მარო, მარო! ნუ თუ იმ სიტყვებს სწერდი ყინულზე? მაშ, მე რად დამაჩნდა ასე ღრმათ გულის ფიცარზე?

გაიარს თვეები... გაიარს წლეები და ბევრი ვაი-ვაგლახი გადაიარს ჩემს თავზე, მაგრამ იცოდე, მარო, ვერ დავივიწყებ პირველს კოცნას, პირველს სიყვარულს, ვერ დავივიწყებ შენს სახეს...

ე.

რა ფაქიზი გული გვქონდა მე და შენ, ჩემო მეგობარო! წუმწუმასავით ავენთებოდით ხოლმე უსამართლობის დანახვაზე, საკუთარ მოვალეობათ ვთვლიდით უკანონობის წინააღმდეგ ამხედრებას... გახსოვს, ერთხელ ფილოსოფიის მასწავლებელმა, რომ გვითხრა: „თქვენ ქართველებს ძველათ კულტურა არ გქონიათო". ჩვენ ლახვარივით მოგვხვდა გულზე ეს სიტყვები; თოფ-ნაკრავივით ზეზე წამოვარდით და ერთმანეთს აღარ ვაცლიდით მასწავლებლის სიტყვის გაბათილებას. ისიც ხომ გახსოვს, პანსიონში ერთხელ რექტორი რომ შემოგვივარდა: ის რაღაცაზე გულმოსული იყო; ქშენდა ისე, როგორც მჭედლის საბერველი. გვლანძღა, გვთათხა და ბოლოს ასე დაათავა: „არ იცით, არ იცით, რომ რუსეთი თავის ნამცეცებით კვებავს საქართველოსო". აქამდის ვითმენდით, მხოლოთ საქართველოს ხსენებაზე ჩვენ ავწრიალდით, გულმა ველარ დაი-

მთელი გერმანეთი—იუნკერი, ნაციონალისტი, კათოლიკე ლიბერალი, თუ სოციალისტი (მხოლოთ არა ფედერალისტი, ჩვენო „ზვირთელებო", ეს ხილი ევროპაში არ იპოვება) როგორც კამათმა გამოარკვია, გაჟღენთილია ერთი ეროვნული სულისკვეთებით.

„იმპერიის კანცლერი და სოციალ-დემოკრატი შეიდემანი ერთი-მეორეზე ენერგიულ სიტყვებს ხმარობენ. ერთიცა და მეორეც მომხრეა ბრძოლის განგრძობის, ვიდრე ზავის პირობები გერმანეთის ღირსების შესაფერი და ხელშეუხებლობის უზრუნველმყოფელი არ იქნება. სამშობლო კერის თავგამოდებულ დაცვას გერმანეთის იმპერიის კანცლერი და სოციალ-დემოკრატიის ბელადი თანაბარის ენერგიით იცავენ. ჯერ გერმანეთის ამ სიმტკიცისა და ხელშეუხებლობის დაცვა და მერე ზავი. ორივეს აღსარებით, ეს სიმტკიცე დაურღვეველი ფაქტია. გერმანეთი ძლევა მოსილია დასავლეთის, აღმოსავლეთის და სამხრეთის ფრონტზე.

განსხვავება იმაშია, რომ შეიდემანს სურს გერმანეთმა, როგორც მძლეველმა ზავის შესახებ პირველად ხმა აღიმაღლოს. ასეთ პირობებში ზავზე სიტყვის ჩამოგდება—ძლიერი ხალხის ჰუმანიურობაა, ამბობს მეორე გამოჩენილი სოციალ-დემოკრატი ზაუდეკუმი. იმპერიის კანცლერი წინაამდეგია ზავის პირობების პირველად წარდგენისა. გერმანეთს, როგორც მძლეველს დამარცხებულმა უნდა სთხოვოს ზავი. არსებითად ერთი და იგივეა. მშვიდობიანობის დამყარების წინაამდეგ არც ერთია, არც მეორე, თუ გერმანეთის აწმყოსი და მომავლის ინტერესი უზრუნველყოფილი დარჩება. ომის გაგრძელების მომხრე ერთიც არის და მეორეც, უკეთუ მოპირდაპირენი ბრძოლას არ დაშლიან. არსებით საკითხებში სრული სოლიდარობა და შეხედულების იგივეობაა. ნათქვამის მიხედვით ვერ გამოიცნობ, რომელი ეკუთვნის მთავრობის ბელადს—იმპერიის კანცლერს და რომელი მთავრობის ოპოზიციის ბელადს. ორივე ერთის ლექსიკონით და ერთის ტონით ლაპარაკობს,

გერმანეთში კვლავ ერთი ნებისყოფა მეფობს, კვლავ ერთი სურვილი და ერთი გრძნობა. მთელი ქვეყანა ერთნაირად ფიქრობს და ერთნაირად იტანს ომისაგან შექმნილ გაჭირვებას. პირველ ხანების ერთსულოვნება და ენტუზიაზმი იქ არ დარღვეულა. კანცლერმა უარჰყო, თითქოს ბიულოვს მინდობილი ჰქონდეს შვეიცარიაში ეზრუნა ზავის ჩამოსაგდებად, თითქოს ესეთივე მინდობილობა ჰქონდეს კარდინალ ჰარტმანს—რომში და ბადენის პრინცს—სტოკჰოლმში. ეხლა ცხადია, სიყალბე პრესისგან გავრცელებული ხმებისა, ვითომც გერმანეთში შინაური აყალ-მაყალი არსებობდეს მთავრობის წინაამდეგ, ვითომც შემდგარიყოს ზავისმომხრე დიდი ოპოზიცია მთავრობის წინაამდეგ საბრძოლველად. იქ ბეთმან ჰოლვეგი—შეიდამანია და შეიდმანი—ბეთმან ჰოლვეგია.

ასეთივე ძლიერი ეროვნული სული ტრიალობს სხვა მეგობარ სახელმწიფოებში. და არა მხოლოთ მეომარ სახელმწიფოებში, სად მოიპოვებენ ჩვენი ზვირთელები" ისეთს სახელმწიფოებს რომელნიც დათანხმდებიან, თავის დამოუკიდებლობაზე თავისივე ნებით უარი სთქვან და „ზვირთელები გამორკვეულ" კავშირში შევლიან.

ტია ეს დამცირება და საერთო ბოღმა ამოგვსკდა გულიდან...

რამდენს ვოცნებობდით მე და შენ, ჩემო მეგობარო, ხალხის ცრემლის მოწმენდაზე, ხალხის გაჭირვების შემსუბუქებაზე. ვინ იცის. რამდენჯერ გაგვიმეორებია ილიას სიტყვები:

„რომ ბედში მყოფი შენ ძმათ მიგაჩნდეს,
ეგ ვერაფერი სიყვარულია;
საქმე ის არის, კაცს ის უყვარდეს,
ვინც ბედისაგან დაჩაგრულია.

და იმ დროს „ბედისაგან დაჩაგრული" გვიყვარდა ისე მძლავრათ, ისე ძლიერათ, რომ მზად ვიყავით მისთვის ზვარაკათ შევწირულვიყავით... სემინარიის კედლები მოწამეა ჩვენის აღფრთოვანებული სიტყვების და გულის ძგერისა.

გუშინწინ ქალაქის ქუჩაზე ჩვენ ერთმანეთს შევხვდით: მე—სოფლის მასწავლებელი და შენ—სოფლის მღვდელი. ორთავენი ქალაქში გადმოსვლაზე ვმაცადინობდით, მიტომ, რომ ქალაქში თბილა და მეტი სინათლეცაა... შეხვედრისთანავე ჩვენ გავწითლდით... სირცხვილისაგან გავწითლდით. ვიგრძენით ორივემ, რომ ახალგაზრდობის ფაქიზი ოცნება გულიდან წაიშალა, რომ ეხლა გროშში გავყიდით წმინდა იდეალს და საქართველოს.

⁂

სასაფლაოს წარმოადგენს ჩემი გული... ზედ დასობილია მრავალი ჯვრები... ხანდისხან დავაკვირდები წარწერებს ჯვრებზე და ნელნელანათ ამოვიკითხავ: „აქ მარხია ესა და ეს შემთხვევა", "აქ განისვენებს ესა და ეს იდეალი", „აქ ასაფლავია ესა და ეს ოცნება"... წავიკითხავ... გული აკვნესდება და ჩემდა უნებურათ თვალთაგან დენას დაიწყებს ცრემლები...

აბესალომ ტაბიძე

ფედერალისტთა „მამულიშვილობა.“

ის ერი, რომელსაც დაკარგვია ხელმწიფება თავისი ქვეყნის მოვლა-პატრონობისა, ის ხალხი, რომელსაც არა აქვს უფლება თავისუფალი განვითარებისა და ჩარხი მისი ცხოვრებისა სხვისი ხელით ტრიალებს, არა მის ეროვნულ ინტერესების მიხედვით, თავისი უფლების აღსადგენათ, განადგურებისა და მოსპობის თავიდან ასაცდენათ უნდა დაადგეს მოქმედების იმ სწორსა და აუცილებელ გზას, რომელსაც უკარნახებს მას მისი მდგომარეობა, უკულმართობისა და მწარე ბედისწერის სიდუხჭირით შექმნილი.

ხოლო ეს გზა ყოვლად შეუძლებელია ვეძიოთ ფანტასტიურსა და მხოლოდ გონებით წარმოსადგენ იდეალებში. უნდა შეიქმნეს საქმე ცოცხალი. გზა სადი და რეალ მოქმედებისა, ნამდვილ ნაციონალიზმზე და მხოლოდ და მხოლოდ საკუთარი ეროვნული ინტერესების პრინციპზე დამყარებული...

ლამაზი სიტყვები, არა ამ ქვეყნიური იდეალები, საერთო საკაცობრიო მისწრაფებანი, ფანტასტიური პროექტები, ოქროს ყანები, ოქროს მინდვრები, უბედნიერესი ბედნიერება, უმშვენიერესი მშვენიერება, უტკბილესი სიტკბოება, მიწიერი სამოთხე ყველაფერი ეს ილლიუზიაა კაცის გონებისა, კეთილშობილი ვარჯიშობაა ადამიანის აზროვნებისა...

არ გვინდა არაფერი სხვისი, არავის არაფერს არ ვედავებით, ჩვენ ვიცავთ მხოლოდ ჩვენსას, ჩვენს კულტურას, ჩვენს ენას, ჩვენს მიწა-წყალს, ჩვენს მამულსა და ქვეყანას. აი ის მთავარი და სადი პრინციპი, რომლითაც უნდა ხელმძღვანელობდეს ყოველი ადამიანი, ყოველი წრე, ყოველი ჯგუფი, ყოველი ერი და ყოველი მესვეური ერისა, თუ ის ამ მესვეურობას ჩემულობს.

ჩვენში განა ასე არის?

იმ დროს, როდესაც ერს ესაჭიროება ღირსეული სახის გამოჩენა, იმ დროს, როდესაც ერს სჭირია მტკიცე პოლიტიკა და შეურყეველი ეროვნული პოზიცია, ისეთი პოზიცია, რომელიც ყოველ პოლიტიკოსთა, სახელმწიფო მოღვაწეთა და ერთა თვალში ხდიდეს მას ღირსად ცოცხალი და უფლებიანი ერის სახელის ტარებისა, ჩვენი „სოციალისტები"—„მეგობარ"—„სახალხო"—„ზვირთელები" გაიძახიან ბორჩალო ჯავახეთ-მესხეთი, საქართველოს გარეშე უნდა დარჩეს, რადგანაც ამ ჩვენ მიწაზე სხვები ჩაასახლეს და ჩვენ უმრავლესობას არ შევადგენთ და სხვა...

ირლანდიისაგან ოლსტერნის გამოყოფას წინაღუდგა მთელი გონიერი და სამართლიანად მოაზროვნე ელემენტი ინგლისის ერისა, გარდა ერთი მუჭა უკიდურეს შოვინისტთა, რადგან ეს იქნებოდა ირლანდიის მთლიანი და ერთეული სხეულის დარღვევა.

პოლონეთის ტერიტორიიდან ხოლმის გამოყოფის წინააღმდეგ სასტიკათ გაილაშქრეს რუსეთის სათათბიროს მემარცხენეებმა, მათ შორის, სოც. დემოკრატებმა და მშრომელთა ჯგუფმაც, რადგანაც ამ აქტში ისინი ხედავდენ პოლონეთის გეოგრაფიულ—ეკონომიურ მთლიანობის დარღვევას. თვით პოლონელებიკი მუდამ თავგამოდებით იცავენ და იცავენ იმ ტერიტორიას, რომელიც წინაპრებმა უანდერძეს და აწარმოებენ იმ გვარ ეროვნულ თავდაცვის პოლიტიკას, რომელმაც ისინი მიიყვანა ყველა ერთა, სახელმწიფოთა და მოღვაწეთა მიერ უკვდავ და ღირსეულ ერათ აღსარების გზამდე...

საჭიროა ოლსტერნ-ირლანდიის საკითხისა და ამ საკითხის წარმოშობის ისტორიას მივუთითოთ ქართველი ერის იმ ვითომდა ინტერესების დამცველ ერთ მუჭა ინტელიგენტების წრეს, რომელნიც თავისი შეუსაბამო და უაზრო უპრინციპო ეროვნულ პოლიტიკით სურვილს აცხადებენ საქართველოს ტერიტორიიდან ჩამოიჭრას ის ნაწილი ქართველი ერის ტერიტორიისა, რომელიც შეადგენს ჰიშკარსა და ბჭე-ზღუდეს მთელი ქართლისას, რადგანაც ამით ირღვევა გეოგრაფიული და ეკონომიური მთლიანობა მთელი ტერიტორიისა. ვისიც იქნება ეს ნაწილები, ის იქნება ბატონ-პატრონი თბილისისა და თბილისის მაზრისა, და—ამ გვარათ სოც.-ფედერალისტთა მომავალი ავტონომია დაემსგავსება იმ სახლს, რომლის შესავალი კარები სხვის ხელში იქნება, და მათი ეროვნული თვითმართველობა შორს არ წავა იმ კარიკატიური თვითმართველობიდან, როგორსაც წარმოადგენენ კირგიზთა კიბიტკები და ბურიატთა იურტები...

იმ ძველ დროს, როდესაც ინგლისის მთავრობის სურვილი და მისწრაფება დამორჩილებულ ეროვნებათა განადგურებისა და მოსპობისაკენ მიილტვოდა, ინგლისის სახელმწიფომ ნიშანში ამოიღო ირლანდია. მას მოსვენებას არ აძლევდა უმთავრესად ის ფაქტი, რომ ირლანდია წარმოადგენდა ერთს მთლიანს ტერიტორიას—ნამდვილს ირლანდიულ ეროვნულ ერთეულს. რომ ამ მთლიანობისათვის თვალსაჩინო ზიანი მიეყენებია, ინგლისმა აუარებელი ინგლისელი გადაასახლა ირლანდიაში, ყოველგვარი უპირატესობითა და უფლებებით აღჭურვა ისინი და ნელნელა ერთი მეოთხედი ირლანდიისა ინგლისელთა მიწა-წყლათ აქცია, რომელსაც ეწოდა ოლსტერნი. (დღევანდელი ოლსტერნი მთელ ირლანდიის მეოთხედს შეადგენს და მაზე მცხოვრებ ინგლისელთა რიცხვიც მთელ ირლანდიაზე მცხოვრებთა მეოთხედს უდრის, ადგილი განაპირაა). მიუხედავათ ამ გვარ დევნისა და შევიწროებისა ირლანდია არას დროს არ კარგავდა უნარსა და მოქმედების სურვილს ეროვნული თავისუფლების მოპოვებისას; რაც მეტი იყო რეპრესია და ზომა—ირლანდიის არსებობის და ერთეული სხეულის წინააღმდეგ მიმართული, მით უფრო ძლიერდებოდა ირლანდიაში ბრძოლა განუყოფელი და მთლიანი ირლანდიის ეროვნულ ტერიტორიალური ავტონომიისა. ამ უფლების მოპოების საკითხში გაერთიანდა მთელი ირლანდიის ერი, განურჩევლად მიმართულებისა. აბა რომელი ბოროტი ენა დაძრავდა კრინტს ირლანდიის განუყოფლობის წინააღმდეგ. მოხდა საკვირველი ამბავი. პარნელი, ტომით ინგლისელი, ირლანდიის ეროვნულ მოძრაობის სათავეში დგება და იბრძვის ირლანდიის თავისუფლებისთვის ირლანდიელთა ეროვნული ინტერესების თვალთახედვით. ირლანდიის ერი მთელი კაცობრიობისაგან ყურადღებისა და თავისუფლების ღირსად იქნა აღიარებული...

დრომ ფერი იცვალა... ინგლისმა დამორჩილებულ ერთა საკითხში სამართლიანობის პრინციპი აღიარა...

გაიმართა კამათი ირლანდიის ჰომრულის გარშემო. ეს ჰომრული აღიარებდა მთელი ირლანდიის ერთიან და განუყოფელ ავტონომიას, ასე რომ ოლსტერნიც ირლანდიის კანონებსა და მართვა-გამგეობას უნდა დამორჩილებოდა. ამის წინააღმდეგი შეიქნენ უკიდურესი შოვინისტები ინგლისისა და თვით ოლსტერნელი ინგლისელები. ხოლო მთელ ინგლისის სამართლიანი და გონიერი ელემენტი: ლიბერალები, დემოკრატები, და სოციალისტები ყველა თავგამოდებით იცავდენ ამ ჰომრულს, რადგანაც ირლანდიიდან ოლსტერნის გამოყოფა იქნებოდა ირლანდიის სხეულის დასახიჩრება და თვით ავტონომიის დამახინჯება, ირლანდიის ეროვნული ღირსების დამცირება, გეოგრაფიული ერთეულის დარღვევა-დაგლეჯა. ეს უსამართლობა არ ჩაიდინა ინგლისმა; სხვის დაჩაგვრას ხელი არ მოაწერა ინგლისის ერმა...

ქართველი კაცი, წმინდა ეროვნულად მოაზროვნე, იკითხავს: რა უნდა იყოს ის წრე ქართველი ინტელიგენციისა, რომელიც ხელს აწერს საქართველოს სხეულის დაგლეჯას, ხელს აწერს საქართველოს არსებობის უმთავრესსაფუძვლისა და მისი აუცილებელი ქვაკუთხედის დანგრევას და ამით ჰკლავს თვით სამშობლოს, სასაცილოთ ხდის ქართველი ერის ეროვნულ გამოსვლას, მის ეროვნულ თავდაცვის პოლიტიკას?..

ბ. ჯაიანი.

და შენ კი... შენ კი!..

⁂

როცა გადავყურებ მომავლის ზეცას
წარსულთ აჩრდილნი მელანდებიან
და დამცირებულს ყოფილ-აწმყოთი
მწარე ფიქრები მებადებიან.

ნუ თუ დავკარგე სამარადისოდ?!.
როგორ!.. მითხარით!.. ვერ გამიგია!..
ჩემი მიზანი, ჩემი დიდება
მარტო ის არის, მხოლოდ იგია

და შენ კი!.. შენ კი სხვას განუბოძე?
უმადური ვარ მშობელო ჩემო!
მონად დამბადე... მონადვე დავრჩე?
ვის გაუმხილო, სად დავიჩემო?!

ჩემში მომავლის ცეცხლი ანთია,
სევდის მახვილად ამონახეთქი
მასწავლეთ მტერი! მე გაგიძლებით?
ჰოი ლაჩარნო, მომყევით მეთქი!

თორემ დაგწყევლისთ შთამომავლობა,
წყევას გიძღვნიან შვილთა ენები,
წყეულიც იყოს თქვენივე ძვლები
ლაჩრად საფლავში ჩანასვენები!

რა გაქვითინებთ? ცრემლთა ფრქვევანი
დამცირებაა ჩვენი ვალისა,
ბრძოლის ძაფებით მოიქსოვება
ცეცხლის დროშები მომავლისა!

სიმ. წველი.

ახალი ამბავი.

ქუთაისი.

ქუთაისის, რაჭისა და ლეჩხუმის მაზრების წვრილი კრედიტის ამხანაგობათა მყიდველმა ბიურომ დაადგინა შემდეგი: გამოიწეროს შაბიამან-გოგირდი, აბრეშუმის თესლი, სიმინდი და სხვა საჭირო მასალები მეურნეობისათვის. ვისაც სურს შაბიამნისა და გოგირდის დაკვეთა, მან უნდა შეკრიბოს ბეთ არა ნაკლებ 5 მან. (სასურველია მეტი) და 20 დეკემბრამდის ფუთზე უნდა იქნეს წარმოდგენილი ბეთ ქუთაისის მოხელეთა საკრედიტო ამხანაგობაში არა ნაკლებ 1 მ. დანარჩენი ფული კი მზათ უნდა იქონიოთ. აბრეშუმის თესლის დასაკვეთად საჭიროა კოლოფზე ბეთ 1 მან. და უნდა იქნას წარმოდგენილი ისიც 20 დეკემბრამდი.

◆ კავკასიის რკინის გზის უფროსმა ქუთაისის რკინის გზის სადგურის უფროსს წინადადება მისცა, რომ ქუთაისიდან არ გაიყიდოს სამგზავრო ბილეთები იმ პირებზე, რომლებიც მიემგზავრებიან კრემენჩუგს და პიატიგორსკს, ვიდრე ამის შესახებ განსაკუთრებული ბრძანება არ მოვა.

◆ ქუთაისის სამაზრო სამმართველომ შინაგან საქმეთა სამინისტროს ცირკულიარის მიხედვით განკარგულება გასცა უბნის ბოქაულთა მიმართ, რომ დაამზადონ სიები 1897 წლ. ჯარის კაცთა გაწვევის შესახებ, რომელიც უნდა წარმოადგინონ არა უგვიანეს 15 იანვრისა.

◆ გუშინ ქუთაისის გუბერნიის თავად აზნაურთა წინამძღოლი თ-დი დ. ო. ნიჟარაძე გაემგზავრა ქ. ფოთს.

◆ სამხედრო სამრეწველო ცენტრალურმა კომიტეტმა ქუთაისის განყოფილების კომიტეტს აცნობა, რომ პირველ იანვარს 1916 წ. იმ ჯარის კაცებს, რომელნიც მუშაობენ სამხედრო ქარხნებსა და სამრეწველო დაწესებულებებში და ვადა უსრულდებათ 1 იანვარს, პირველ იანვრიდან მათ მიეცემათ სამი თვის ვადა, რომ თავისი შინაური საქმეები მოაწყონ.

◆ ქუთაისის ქალაქის უფასო წიგნსაცავ სამკითხველო გუშინ უკვე გაიხსნა. ამიერიდან სამკითხველო ახალ „კარტოჩკის სისტემით" გასცემს წიგნებს, რომელიც დიდათ გაუადვილებს, [illegible] კითხველოს გამგეს, ისე [illegible] ნების წაღებას. ამ ჟამათ სამკითხველოში ითვლება 1553 ქართული წიგნი და 12000 რუსული.

◆ მიხეილის თავად-აზნაურობის საადგილ მამულო ბანკის თავჯდომარე თ-დი მ. ფიღავა, ბანკის დირექტორი ბ-ნი იაკ. ფანცხავა და სახაზინო პალატის მმართველი ბ-ნი სობრიევსკი, გუშინ უკვე გაემგზავრენ თბილისს ამავე ბანკის განყოფილების დარჩენილ მამულების საჯარო ვაჭრობაზე დასასწრებლათ.

◆ ქუთაისის გუბერნატორი კამერიუნკერი ბ-ნი პოტულოვი გუშინწინ გაემგზავრა ქ. სენაკს, სხვა და სხვა საზოგადოებრივ საქმის გამოსარკვევათ.

◆ ორ დეკემბერს დანიშნულია საგუბერნიო სამხედრო საკრებულოს წევრთა კრება.

◆ ქ. ფოთში უკვე გაიხსნა ქუთაისის საურთიერთო ცეცხლისაგან დამზღვევი საზოგადოების განყოფილება, ეს განყოფილება მიღებულია რუსეთის საურთიერთო დამზღვევ საზოგადოებაში.

გამგეთ დაინიშნა ს. ხოშტარია და ა. ხოჩოლავა, რომლებიც საზოგადოების დიდი ნდობით არიან აღჭურვილი.

◆ ქუთაისის ქალაქის გამგეობამ 10—30 ნოემბერს შემდეგი სანოვაგე მიიღო: ფქვილი 38 ვაგ. ბენზინი 25 ვაგონი, ნავთი 6 ვაგონი, მაზუთი 1 ვაგ. ქვანახშირი 4 ვაგ. თივა 11 ვაგ. ხეტყის მასალა 1 ვაგ. სხვა და სხვა სანოვაგე 1072 ფ.

◆ ქუთაისის სამეურნეო საოჯახო კომისიამ სანოვაგისათვის შემდეგ ნაირათ გაანაწილა ვაგონები. ქვილი 4 ვაგ. შაქარი 5 ვაგ. სიმიდი 4 ვაგონი, მარილი 1 ვაგონი, თივა 15 ვაგ., ბზე 20 ვაგონი, ქატო 6 ვაგ, სხვა და სხვა სანოვაგე 14 ვაგონი.

სოფლათ

— გურნაში (ოკრიბა) 3 დეკემბერს გაიხსნება ვაზის მყნობის კურსები, რომლებიც ხელმძღვანელობას გაუწევს ვ. ქიქოძე.

თბილისი.

დ. ჭონქაძის ხსოვნის აღნიშვნა. 13 დეკემბრისთვის თბილისში სხვადასხვა დაწესებულებებში გაიმართება ცნობილ მოღვაწის „სურამის ციხის" ავტორის დ. ჭონქაძის ხსოვნის აღსანიშნავი დილები.

— 1907—1909 წ.წ. რატნიკებს მომქმედ ჯარში დეკემბრის ბოლოს გაიწვევენ.

— 27 ნოემბერს მეფის ნაცვალს წარუდგა ბორჩალოს ბეგების დეპუტაცია. ამავე დღეს მის უმაღლესობას კნეინა მილიცა ნიკოლოზის ასულს წარუდგა ქართ. საისტ. საეთნოგრაფ. საზოგადოების თავმჯდომარე ექ. თაყაიშვილი.

— ბაქოში მძიმე ავად ყოფილა ქართულ თეატრის რეჟისორი ვალ. შალიკაშვილი, ამასთანავე იგი თურმე დიდ ხელმოკლეობას განიცდის.

— 29 ნოემბერს, „ხარფუხის საზ. კლუბში" ლექცია წაიკითხა გრ. ამაღლობელმა „ევროპის ომი და საქართველოს ახალი ეპოქა". ხალხი ბლომად დაესწრო, ლექცია შინაარსიანი გამოდგა. დასწრება უფასო იყო.

— 2 დეკემბერს, მოხდება თათბირი თბილისის გუბერნიის მევინობისა და მევენახობის კომისიისა, რომელმაც ჩუმლაყში უნდა გახსნას მევინობის კურსები და ხელი შეუწყოს ამერიკულ ვაზის გაშენებას.

თბილისის ქალაქის გამგეობაში სარევიზიო კომისიის მდივნის მოვალეობა მიენდო გ. გ. ქონიაშვილს.

— ბრძოლის ველზე სიმამაცისთვის პოდპოლკოვნიკობა ებოძათ: ქადიაშვილს და ბურჭულაძეს. წმ. ვლადიმერის მესამე ხარისხის ჯვრით და ხმალ—ლენტით დააჯილდოვეს: ქარუმიძე და ანჩაბაძე.

— პეტროგრადის მიტროპოლიტმა პიტირიმმა მოსკოვის ქართველ საზოგადოების მისალოც დეპეშაზე უპასუხა: „ის გულითადი სიმები, რომელიც მაერთებს მართლმადიდებლობის დამცველ სახელოვან ქართველ ხალხთან—თავის დღეში არ გაწყდებაო".

ორიოდე სადღეისო სიტყვა.

III

სახელმწიფო სათათბირო.

რუსეთის ცხოვრება დღეს მეტად არეულ დარეულია.

რას შვრებიან ამ დროს, რუსეთის „ბედშემატკივარი წევრები"?

ზედმეტია ლაპარაკი გრ. პალმენსა და სხვა მისგვარ მოღვაწეებზე.

ყველამ იცის, რომ ხსენებული მოღვაწენი იმ თავიდანვე რუსეთს საბედისწერო უფსკრულზე გადასაჩეხად მიაქანებენ...

არავისთვის არ უნდა იყოს აგრეთვე გაუგებარი ის ფაქტი, რომ ისინი მუდამ სხვის დაჩაგვრა კაცის ჰამიაობით ელგზნებულნი რუსეთში გარდა შავრაზმელების ნდობას ვერავის დასტყუებენ, ეს კარგად სწამთ თვითონაც, მაგრამ რა ხან ერთხელ ეზიარნენ „ბნელ პოლიტიკას" მას აწარმოებენ მანამდე, სანამ სიკვდილი არ მოუღებთ ბოლოს.

ეს თუ ასე არ არის, მაშ დააკვირდით დღევანდელ მათ მოქმედებას და ყველაფერს ნათლად გაიცნობით.

რუსეთის პროგრესიული ნაწილი ერთადერთ იმედებს ყოველთვის სახელმწიფო სათათბიროზე ამყარებდა და ამყარებს, სადაც ერთად შეკრებილნი უზარმაზარ იმპერიის სხვადასხვა კუთხის წარმომადგენელნი ერთმანეთს ოდნავ მაინც გამოუმჟღავნებ-გამოუმხეურებენ თავიანთ ტკივილ—საჭიროებათ.

დღევანდელ სიმწვავისას აუცილებლად საჭიროა ის მთავრობის მორჩილი პარლამენტი მაინც ხმაურობდეს ხალხთან, მაგრამ ამის ნაცვლად ჩვენ რას ვხედავთ? გრ. პალმენი გაჰკივიან: კვლავ გადმოსახლება-გადასახლების პოლიტიკა, კვლავ „ინოროდცების" დევნა, კვლავ გარუსება...

ხალხი კი ფრთა შეკვეცილი და მოქმედება—გასაქანს მოკლებული თავის კეთილშობილურ სურვილს და სამართლიან მოთხოვნილებათ ამწარე ბოლომით საკუთარს გულში იკლავს.

ი. იმერელი.

რუსული პრესა.

„რუსკოე ზნამია"-ში (№ 258) მოთავსებულია მეთაური წერილი, პეტერსონის გადადგომის გამო. მოგვყავს უცვლელად:

„„გრაფ დაშკოვის კავკასიიდან წამოსვლის შემდეგ, რამაც მემარცხენე პრესამ ერთხმად სიხარულით მიმიიღო, როგორც მოსალოდნელი იყო, მარგალიტი რუსეთის გვირგვინისა კავკასიის „პოლიტიკის" ფაქტიურ ხელმძღვანელ-საგანაც განთავისუფლდა; მე მოგახსენებთ სენატორ პეტერსონის წასვლაზე. მემარჯვენეთა დამოკიდებულ გაზეთების წყალობით პეტერსონის მოღვაწეობა ძალიან კარგად მოეხსენება უქვეშევრდომილესს რუსეთს და, ეჭვს გარეშეა, მრავალტანჯულ განაპირა ქვეყნის ისტორიაში წითელ ძაფად გაევლება ეს მოღვაწეობა, თავისი მრავალ მხრივ და ჩამოყალიბებული მიმართულების წყალობით, რომელიც მუდამ შუა ჰკვეთდა საუკუნეთა განმავლობაში ერთგულ საქართველოს მკვიდრთა სასოებას, რწმენას და უწმინდეს აღთქმათ. აქ არც ადგილია და არც დროა დაწვრილებით და მიუდგომლად განვიხილოთ ხანგადასულ გრაფის სულის ჩამდგმელისა და ხელმძღვანელის მოღვაწეობა, მაგრამ ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ მათი ბატონობის 10 წლიწადში მთლად წარიხოცა, ნიავქარს მიეცა იმ ნამდვილ მამულიშვილთა მთელი მოდგმის ღვაწლი, რომელთა სათავეშიც დიდი მთავარი მიხეილ ნიკოლოზის ძე იდგა. ამას პასუხისგება თუ მთლად არა, ცხრა მეათედით მაინც სენატორს პეტერსონს აწევება კისრად, როგორც გრაფ ვორონცოვის „მარჯვენა ხელს". თავგანწირული გამოსარჩლება, აღფრთოვანებული ქებათა-ქება მემარცხენე პრესისა დაუმსახურებლად როდი მოიხვეჭება. პირმტკიცე თანაგრძნობა განმთავისუფლებელ მოძრაობისა და მის ხელმძღვანელთა ფართონდობის პოლიტიკა; ოპოზიციის უკიდურეს ნაბიჯთა მოწონება და მხარის მიცემა, ახალგაზრდობისა და „საზოგადოებრიობის" განმსაზღვრელი თავისუფლების მინიჭება და ბოლოს—გაპარტახება და გახრწნა ზნე-ჩვეულებათა და უქონლობა საღ და გონიერ სახელმწიფო პრინციპებისა—აი მთელი ჯამი პეტერსონის ათი წლის მოღვაწეობისა.

მაგრამ, კავკასიის მეხსიერებიდან არასოდეს არ ამოიშლება ხანა პეტერსონის „მართვა-გამგეობის სათავეში ყოფნისა", ეს არის ხანა გახრწნილებისა, რომელიც ჩაინერგა მოსწავლე ახალგაზრდობაში... და მიუდგომელი მემატიანე, ეჭვი არა გვაქვს, არ დაივიწყებს სულის შემძვრწუნებელს ამბავს „წითელი ოთახისას", რომელმაც ერთ დროს დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია, თუმცა ფაქტიურად დღესაც არ დასრულებულა მისი გამოძიება, რადგანაც იგი მეფის ნაცვლიეთ თანაშემწის—პეტერსონის კანცელარიის კარის ძირეზე ჩაიქრეს.

მაგრამ... მადლობა ღმერთს, ეს ამბავი უკვე წარსულს ჩაბარდა". „ს"

მოწოდება.

ქუთაისის გუბერნიის მომხმარებელ საზოგადოებათა მიმართ.

ქუთაისის გუბერნიის მომხმარებელ საზოგადოებათა ბიურო ამით აცხადებს მომხმარებელ კოოპერატივთა საყურადღებოთ, რომ იგი უკვე შეუდგა მოქმედებას და მოუწოდებს იმ საზოგადოებებს, რომელნიც ჩაწერილან წევრად და საჭიროდ სცნობენ საერთო ძალით მოქმედებას, დაიჩქარონ ბიუროში ჩაწერა. უკვე ჩაწერილ წევრებს ბიურო მოუწოდებს დაჩქარებით შემოიტანონ თავიანთი ხვედრი ფული. ყველა მომხმარებელ საზოგადოებებს ევალებათ დაჩქარებით წარმოუდგინონ ბიუროს დაწვრილებითი ცნობები, თუ ვის რამდენი და რა საქონელი ესაჭიროება, ყოველგვარი კითხვების შესახებ ბიურო იძლევა დაწვრილებითი პასუხს წერილობით.

ბიუროს მუდმივი ადრესი წერილებისა და დეპეშებისათვის: м. Самтреди Бюро. ფული უნდა გამოიგზავნოს м. Самтреди Петру Павловичу Гелейшвили.

ქ. გ. მომხ. საზ. ბიურო.

დეპეშები.

(პეტ. დეპ. სააგენტოსაგან)

პარიზი. 28 ნოემბერი. ცნობა დღისით. ღამემ მშვიდობიანად ჩაიარა, გარდა შამპანისა, სადაც მიუხედავად განუწყვეტელ წვიმისა, მაინც ცხოველი სროლა და ყუმბარებით შეტაკებანი ხდებოდა. დამატებითი მოსული ცნობები ადასტურებენ, რომ გუშინ ჩვენი არტილერია მარჯვედ ისროდა ყუმბარებს. მდ. უაზისა და ენს შუა, კენევიერის მაღლობზე და ვანდრესეს და ტრონის ოლქში ჩვენმა არტილერიამ დაანგრია მოპირდაპირის სიმაგრე და ყუმბარის სასროლები დააზიანა.

პარიზი. 28 ნოემბერი. დღეს დილით გარეშე საქმეთა სამინისტროში ხანგრძლივი ბჭობა იყო ბრიანის, გალიენის, გრეის და კიტჩენერის შორის. ბჭობას დაესწრნენ ობიერნი და პოლკოვნიკი ფიცჯერალდ დე-მარჟერი, რომელნიც იუწყებიან, სადღეისო უმნიშვნელოვანესი საკითხები, რომელთა გადაწყვეტისათვის პარიზს ინგლისის მინისტრები მოვიდნენ სრულ თანხმობით გადაწყდა.

ჰავასის სააგენტოს გავრიდან მოსული დეპეშა გვამცნობს: დიდმა აფეთქებამ, რომლის მიზეზი ჯერ გამოურკვეველი არ არის, დღეს ბელგიის ასაფეთქებელ წამლების მოსამზადებელი ქარხნები დაანგრია. ეს ქარხნები ქალაქის ახლოს სამი ვერსის მანძილზე მდებარეობდნენ. ყველა მუშები ამ დროს მუშაობდნენ. იმდენად ძლიერი იყო აფეთქება, რომ ახლო-მახლო სახლებში კარ-ფანჯარა გამოპკლიჯა და დაამსხვრია. მატერიალური ზარალი მეტად დიდია. რადგანაც ნანგრევებში შესვლა ჯერ-ჯერობით შეუძლებელია, მსხვერპლის რაოდენობა გამოურკვეველია.

პარიზი. 28 ნოემბერი. საღამოს ოფიციალური ცნობა. ბელგიაში გეტსის რაიონში, არტუაში ბიულის და როკლენკურის ახლო მდებარე რაიონებში მკაცრი საარტილერიო სროლა სწარმოებდა. ჩვენმა არტილერიამ გაფანტა რუსის რაიონში გზად მიმავალი მოპირდაპირეს რაზმი, აგრეთვე სურსათის ურმების ქარავანი ვილერესაკენ მიმავალი. არგონში ნაღმით გატეხილი ორი თხრილი დანაღმების გალერეია დავანგრიეთ. მაასის მარჯვენა ნაპირით მუშეს ტყის რაიონში ჩვენმა არტილერიამ საგრძნობლად დააზიანა მოპირდაპირის თხრილების პირველი რიგი და აგრეთვე საფარი სავალი სანგრები. ელზასში ლაწკუან და ბარენკოფთან მკაცრი სროლა სწარმოებდა.

ცნობა დარდანელის ოპერაციის შესახებ. 24, 25, და 26 ნოემბრის განმავლობაში ოსმალების არტილერია განუწყვეტლივ და მკაცრ სროლას აწარმოებდა. მათი მთავარი ცდა მიმართული იყო მდ. კერევესის შესართავისაკენ. ნაღმებით ბრძოლა კვლავ ძლიერ გაცხოველდა. ოსმალოების ჰაეროპლანმა ყუმბარები დაყარა ჩვენს ბანაკს სედილ-ბაჰრთან, მაგრამ უშედეგოდ.

ჰავრი. 28 ნოემბერი. ბელგიელების ცნობა. უკანასკნელ ღამის განმავლობაში და აგრეთვე შუადღის შემდეგ გერმანელების არტილერია გაშმაგებულად ისროდა ყუმბარებს, უმთავრესად უმიზნავდა საფარ რაზმებს და უკანა რიგში დასაბნევებლად მყოფ ჯარს, მაგრამ სროლამ ზიანი არ მოგვაყენა და უნაყოფო იყო. მარჯვე სროლით ჩვენმა არტილერიამ გააბათილა გერმანელების ცდა და თავის მხრით ყუმბარები დაუშინა მათ ბანაკს სენტპიერ-კაპელესთან და გაფანტა მათი რაზმი, რომელიც დიქ-მიუდეს ჩრდილოეთით გამოჩნდა.

კოპენჰაგენი. 27 ნოემბერი. ბაზელიდან ცნობაა, რომ ფრანგებს და ინგლისელებს რაზმები გადაუსხამთ სანტი-კარანტაში, აქეთკენვე მოდიან იტალიის რაზმები ბარიდან.

სოლუნი. 27 ნოემბერი. ფრანგებმა დასცალეს კავადარი, კრივოლაკი და დემირკაპუ, თან წაიღეს ყველა სამხედრო მასალა, ყუმბარები და სურსათი, ააფეთქეს გვირაბი დემირკაპუსთან და ხიდი ვარდარზე. 25 ნოემბერს ფრანგთა ჯარის ბრძოლის პირით მკაცრი ბრძოლა შუადღემდე სწარმოებდა. ბულგარელებმა ყველა იერიში მოიგერიეს. თუ მხედველობაში არ მივიღებთ ალაგ-ალაგ თოფის სროლას ბრძოლის პირის სხვა და სხვა რაიონებში, 26 ნოემბერმა წყნარად ჩაიარა.

ლონდონი. 28 ნოემბერი. „დეილი მეილ"-ს პარიზიდან დეპეშით ატყობინებენ, რომ საფრანგეთისა და ინგლისის შორის ჩამოვარდნილი უთანხმოება ბალკანეთის ოპერაციის შესახებ, გრეის და კიტჩინერის ჩამოსვლის შემდეგ მოისპო. შეთანხმებული მოქმედება გამოიხატა საბერძნეთის მიმართ ძალდატანებითი ზომების მიღებაში. გადაწყვეტილია სოლუნი შეინარჩუნონ. მოკავშირეთ გადასწყვიტეს მეფე კონსტანტინეს ნამდვილი სულისკვეთების გამოაშკარავება. შესაძლებლად სთვლიან, რომ ათინში უკვე საერთო ნოტა არის წარდგენილი, რომელიც გადამწყვეტ პასუხს დაუყოვნებლივ მოითხოვს.

სოლუნი. 26 ნოემბერი. 25 ნოემბერს უშედეგოდ შეეცადნენ მოქმედების გაცხოველებას. კონტურინიდან ვარდარამდე განუწყვეტელი არტილერიისა და თოფების სროლაა. ფრანგთა და ინგლისელთა ჯარმა ტაქტიკური მოსაზრებით ჩრდილოეთისა და ლემოსავლეთის ფრონტებიდან წინ და წინ დამზადებულ პოზიციებზე დაიხია.

ათინა. 27 ნოემბერი. ბულგარელთა იერიშები მოკავშირეებმა მოიგერიეს, რაც უკანასკნელი საშუალებას აძლევს თავიანთ სტრატეგიულ მიზნებს მიაღწიონ.

გაზეთები დემობილიზაციის თაობაზე ბჭობენ.

ქვა ნახშირის სიმცირის გამო გაზების ქარხნის ამხანაგობა აცხადებს, ქარხანა თვეზე მეტს ვერ იმუშავებსო, საბერძნეთის მთავრობის შეამდგომლობას ინგლისის წინაშე ქვანახშირის შემოტანის თაობაზე, საეჭვოა სასურველი შედეგი რომ მოჰყვეს.

ლონდონი. 27 ნოემბერი. ლოიდის სააგენტო იუწყება, ნორვეგიის გემი „ნერკოუსი" ჩაძირულია. ერთი ოფიცერი დაიღუპა, დანარჩენნი ნაპირზე გამოვიდნენ.

ვაშინგტონი. 27 ნოემბერი. ცნობებია, შეერთებულ შტატების ნოტაში ავსტრიისადმი „ანკონის" დაღუპვის გამო, აღნიშნულია ფაქტი ავსტრიელების მიერ აღიარებული, რომ გემი გაუფრთხილებლად ჩასძირეს. ნოტა აღიარებს, რომ გემი არ უნდა დაიღუპოს, ვიდრე ზედ მყოფი მგზავრები არ გადაიყვანენ უშიშარ ადგილას. სულ ერთია გაჩერდება გემი გაფრთხილების დროს თუ არა, ვიდრე მგზავრები ზედ არიან, არ უნდა ჩაიძირისო. ნოტა ჯერ არ არის გამოქვეყნებული.

ათინა. 27 ნოემბერი. მონასტრიდან წამოსული სერბების რაზმები პოლკოვნიკ ვასიჩის მეთაურობით საბოლოოდ ალბანეთში გადავიდნენ.

საბერძნეთის გემი, სპეციიდან მომავალი, რომლითაც მიდიოდა ინგლისის სამხედრო აგენტი შემდეგ დატყვევებული გერმანელების წყალქვეშა ნავის მიერ, ნეაპოლთან იტალიის სამხედრო უწყებამ შეაჩერა.

27 ნოემბრის განმავლობაში ბულგარელებმა თითქმის მთელის ბრძოლის პირით იერიში მიიტანეს, ამასთან მთავარი ცდა მიმართული იყო ჩვენი ჯარის მარცხენა წვერისაკენ, მაგრამ ყველა იერიშმა უნაყოფოდ ჩაიარა.

წერილი რედაქციის მიმართ.

ბ. რედაქტორო!

თქვენს პატივცემულ გაზ. „სამშობლოს" 226 №-ში მოთავსებულია წერილი დ. დანხეთიდან „ა—ის" ფსევდონიმით, რომელიც გამოწვეულია ჩემი წერილის გამო, რომელიც დავსტამბე გაზ. „მეგობარის" № [illegible]. წერილში სიმართლისათ, სწორეთ ობიექტიურის თვალსაზრისით ვეხებოდი დანხეთის ქალთა კერძო პროგიმნაზიის ქ-ნ ეკ. ფხაკაძის ასულის მიერ დარსებულს და გამხობილი, რომ; ვერ მოაქვს ამ სასწავლებელს ის ნაყოფი, რომელსაც საჭიროებს ჩვენი საზოგადოება, სამასწავლო შემადგენლობა ვერ არის სასურველ დონეზე დაყენებული მეტი და სხვა. მე ამაში დამარწმუნა მრავალმა დედის მწარე კვნესამ რომლებსაც გაუცრუა იმედი ხსენებულმა სასწავლებელმა, მაგრამ არ გვანებებენ „ქმნა მართლისა სამართლისას", და თქვენს პატივცემულ გაზეთში გამომდგარა ვიღაც „ა—ი" და საზოგადოებას ეფიცება, ღმერთი, რჯული „ადგილობრივი" სიყალბეს სნადის, ცილის წამებს ქ-ნ ფხაკაძის ასულს. მართალი მოგახსენოთ, რომ წერილი თქვენს გაზეთში არ იყოს დასტამბული არც კი ვუპასუხებდი, ვინაიდან ვიცი ამ ყმაწვილის გულის ტკივილი, მაგრამ არ მინდა უსამართლოთ დამამციროს ვინმემ თქვენსა და თქვენი მკითხველების თვალში.

ამიტომ იძულებული ვარ ორიოდე სიტყვა მოვახსენო ბ-ნ „ა—ის". ბ-ნო „ა—ი" კარგათ გიცნობ და კარგათ მიცნობ შენც.

ჩემი წერილი ყალბათ არ უნდა გეღიარებია სახ. წინაშე მით უმეტეს, რომ შენ ქუთაისის წერა კითხვის გამავრცელებელი საზ. სტამბის წინ სთქვი ჩემს წინაშე—შეიძლება (ეს გაზეთი ხელში გვჭ[illegible]) სიმართლე [illegible] მაგრამ არ უნდა დაგესტამბა [illegible] გაჯავრდესო" ო. მე გამ[illegible] ხურს მიაწვდინა საზოგადოების სამსჯავრო და ნურას უკადრებთ თუ [illegible] მე წერილისათვის მეტი არც აქვს საუბარი სავსებით შეუთანხმდით, დარწმუნებული იყავი ჩემს სამართლეში და დღეს რას ვხედავ? ჩემს სიტყვებს აბათილებ ვგრძნობ, რომ დაუძლეველი ხარ „დაქირობას", ქალების კორპორაციას მოუდრეკელი, კეთილი და პატიოსანი აქ არ გამოუდგები შენ საწინააღმდეგო საბუთების მთქმელს, რადგანაც ჩვენი საქმე „სუდშია" გადაცემული და სიმტკიცე სიმართლე ადრე გამოაშკარავდება*).

ადგილობრივი.

ანგარიში.

ქ. ქალთა საზოგადოების წევრთა საყურადღებოთ.

1915 წ. 14 ნოემბერს საქველმოქმედო მიზნით „რადიუმში" გამართულ სეანსების ანგარიში:

შემოსავალი: 498 მანეთი 3 კაპ.

გასავალი: რადიუმის დარბაზის 150 მან. მარკების 30—91 კ. მუსიკა 12 მ. გამგეს 5 მ. ჯამი 197 მ. 91 კ.

წმინდა შემოსავალი 300 მ. 12 კ.

ქ. ქალთა საზოგადოების **გამგეობა.**

---

*) რედაქციის მიზანია გამოარკვიოს სიმართლე და ამიტომ ყველა მართებულ კილოთი დაწერილ წერილს ადგილს უთმობს. **რედ.**

რედ.-გამომც. **ი. თ ცინცაძე**

მატარებლების მიმოსვლა.

ქ. ქუთაისს მოდის.

თფილისიდან	— დილის	— 5 ს. 50 წ.
„	— ღამის	—11 ს. 30 წ.
ბათომიდან	— დილის	—10 ს. 5 წ.
„	— ღამის	— 2 ს. 23 წ.
ფოთიდან	— დილის	—10 ს. 30 წ.
ტყიბულიდან	— დილის	— 9 ს. 38 წ.
„	— საღამოს	— 7 ს. 39 წ.

ქ. ქუთაისიდან გადის.

თფილისისაკენ	— დილის	— 7 ს. 55 წ.
„	— ღამის	— 1 ს. 7 წ.
ბათომისაკენ	— საღამოს	—10 ს. —
„	— დილის	— 4 ს. 27 წ.
ფოთისკენ	—ნაშუადღ.	— 4 ს. 14 წ.
ტყიბულისკენ	— დილის	— 6 ს. 40 წ.
„	—ნაშუადღ.	— 4 ს. 20 წ.

„სორაპანის" გამოცემა.

დაიბეჭდა და გამოვიდა გასასყიდად ქართული

კედლის კალენდარი 1916 წ.

შედგენილი გრ. ჩარკვიანისა და მ. გაჩეჩილაძის მიერ.

ჯიბის—სახალხო კალენდარი 1916 წლისა

შედგენილი მ. გაჩეჩილაძის მიერ.

ვისაც სურს „პარტიით" იყიდოს, მან უნდა მიმართოს შემდეგი ადრესით:
ტფილისი, სტამბა „სორაპანი", მ. გაჩეჩილაძეს
და ქ. ქუთაისში, თ. მთავრიშვილის წიგნის მაღაზიაში. 15—7

ევროპიული ტანსაცმელების მაღაზია

ალექსანდრე ი. კოსტავასი

თფილისის ქუჩაზე, ქალაქის აფთიაქთან.

ახლათ მიღებულია: საზამთრო და საშემოდგომო პალტოები, კოსტიუმები, აგრეთვე საწვიმარი მოსასხურავები და სხვა მრავალგვარი შეკერილი ტანთსაცმელები. აქვე იშოვება არშინობით—რუსული და საზღვარგარეთული ყოველგვარი მატერიები. **რიგიან ფასებში,** რადგანაც მუშა ხელი შემცირებულია. ფასები უვაჭროთ. თ.

ძმათა ყორყოლაძეების მაღაზიაში

(ქუთაისი, მიხეილის ქუჩა, საკუთარი სახლი)

მიღებულია დიდძალი

საპნის გასაკეთებელი „სოდა"

აქვე იყიდება ყოველგვარი ბაკალიური საქონელი. ფასები ყველაზედ ზომიერია როგორც წვრილათ, აგრეთვე ნარდათ.

სწრაფმბეჭდავი სტამბა ალ. კოხრეიძისა—ქუთაისში

ნება დართულია სამხედრო ცენზურისაგან